საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-08/21678
28/12/2021

21678-2-08-2-202112281554

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

მოგეხსენებათ, რომ საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის (F3) უბისა-შორაპანის მონაკვეთის მშენებლობის განხორციელების დროს გამონამუშევარი ფუჭი ქანების №13 სანაყაროს გაფართოების მოწყობის საპროექტო ტერიტორია მოიცავს მოქმედი ხევის (მდინარე ვანცაძისღელე) კალაპოტს და მის მიერ ფორმირებულ ხეობას. ერთ-ერთ მთავარ საკითხს სანაყაროს მოწყობის უბნიდან ხეობაში გამავალი მდინარის ნაკადის მოცილება წარმოადგენს. ამ მიზნით დაგეგმილია სანაყაროს პერიმეტრის მაღალ ნიშნულზე, არსებულ ხევზე მცირე ზომის წყალმიმღების მოწყობა. წყალმიმღების საშუალებით ხევის ბუნებრივი ჩამონადენი გადამისამართდება პროექტით გათვალისწინებულ ხელოვნურ არხში. ხელოვნური არხის საშუალებით ხევის წყალი იმოძრავებს სანაყაროს პერიმეტრის გვერდის ავლით. აღნიშნულმა ღონისძიებებმა, გამონამუშევარი ფუჭი ქანების გაზრდილი მოცულობების მიუხედავად უნდა უზრუნველყოს როგორც სანაყაროს პერიმეტრის, ისე მიმდებარე ფერდობების და ქვედა ნიშნულებზე არსებული ტერიტორიების დაცვა წყალდიდობის, დატბორვისა და ეროზიული პროცესებისგან.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს შესაბამისად, სკრინინგის პროცედურისთვის, ელექტრონული სახით გიგზავნით, აღნიშნულ პროექტზე სათანადო ინფორმაციას და გთხოვთ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და მოგვაწოდოთ თქვენი გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მომზადების საჭიროებასთან დაკავშირებით.

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

დანართი: სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,

სალომე წურწუმია

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე